



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

26 დეკემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

2.02.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	28
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	41
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	44
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	55

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ყიასაშვილი, გამომცემლობა “მედუზა”
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოსო გაბდელიანი, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 - ენის დაუფლება Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადანაცვების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადანაცვების გადაწყვეტილება: №232, 04.11.2016.
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯავებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“ ხორციელდება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტში ქართულ ენაზე 1997 წლიდან თავდაპირველად „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობის სახელწოდებით. 2011 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№232, 04.11.2011) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

რეაკრედიტაციისათვის მომზადების პროცესში პროგრამამ შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით განიცადა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და სხვ. კუთხით. ასე მაგალითად, პროგრამაში განხორციელებული მსხვილი ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი მოდიფიცირება: 1) „ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ შესაბამისად ჩამოყალიბდა განახლებული პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. 2) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ზუსტი თავსებადობის მიზნით, „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამას ეწოდა „ინგლისური ფილოლოგია“, ხოლო კვალიფიკაცია განისაზღვრა, როგორც ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of English Philology). 3) კურიკულუმის ძირითად და არჩევით სფეროებს დაემატა დაახლოებით 10-დე ახალი სასწავლო კურსი, ხოლო უმეტესობა უკვე არსებულ საგნებში დაზუსტდა და გადახალისდა ლიტერატურა და შინაარსი, ისევე, როგორც რამდენიმე მათგანის სახელწოდება ( მაგ., წერა“ ფორმულირდა როგორც „ესე ინგლისურ ენაზე“, „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“ კი „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის“ სახელწოდებით ჩანაცვლდა, და სხვ.).

ამჟამად, პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს 4 აკადემიური წლის განმავლობაში.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 20 დეკემბრის (MES 6 22 0001632474) ბრძანების საფუძველზე სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ვიზიტს, რომელიც ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, მონაწილეები ესწრებოდნენ შეხვედრების კომბინირებული ფორმით, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ისევე, როგორც ექსპერტების უმეტესობა იმყოფებოდა ადგილზე, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, რამდენიმე კურსდამთავრებულის, სტუდენტისა და დამსაქმებლის ჩართვა განხორციელდა

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ონლაინ პრაქტიკა Zoom-ის საშუალებით. ექსპერტები გაესაუბრენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების პროცესში მონაწილე ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალს, პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებს. ასევე, როგორც პროგრამის სტუდენტებსა და კუსდრამათავრებულებს.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, საგამოცდო და საკლასო ოთახები და სხვ.), გაესაუბრენ მათზე პასუხისმგებელ პირებს და გამოითხოვეს კონკრეტული დოკუმენტაცია. სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მაძიებელ პერსონალს ვიზიტისა და მისი წინარე მუშაობისას პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნეს.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამაში ჩართულ ყველა პირს აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში კონსტრუქციული და მშვიდი თანამშრომლობისთვის.

### **მსაგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, კომპონენტები 1.1.; 1.3.; 1.4. 2.1.; 2.2.; 2.3.; 2.4; 4.1.;4.3; 4.4; 5.3. - მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო კომპონენტები 1.2.;1.5;3.1.;4.5.; 5.1; 5.2 -სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. შესაბამისად,

**სტანდარტი 1: მეტწილ შესაბამისობაშია**

**სტანდარტი 2: მეტწილ შესაბამისობაშია**

**სტანდარტი 3: სრულ შესაბამისობაშია**

**სტანდარტი 4: მეტწილ შესაბამისობაშია**

**სტანდარტი 5: სრულ შესაბამისობაშია**

### **რეკომენდაციები**

#### **1.1. კომპონენტთან მიმართებაში**

- მიზანწონილია, პროგრამის მიზნების ნაწილში სამიზნე ენობრივი კომპეტენციის დონის დაკონკრეტება „ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ CEFR (Common European Framework of Reference for Languages) მიხედვით.
- რეკომენდებულია საერთაშორისო შრომითი ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების მეტად ასახვა შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტში,

#### **1.3. კომპონენტთან მიმართებაში**

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენებოდეს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

- მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების დროს.

#### 1.4. კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეტად უზრუნველსაყოფად; კონკრეტულად,
  - დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსები- „ბიზნესის, ენა“, და „ტურიზმის ენა“ აისახოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ნაწილში.
  - სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შემადგენელ კურსს „ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი.
- რეკომენდებულია პროგრამის შემადგენელი კურსების შინაარსის ასათვისებლად უახლესი ლიტერატურის მოძიება, არსებულ სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და მისი მაქსიმალურად ჩანაცვლება და გადახალისება უახლესი გამოცემებით.
- საჭიროა, სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაზუსტდეს და ჩასწორდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სახელწოდება.

#### 2.1. კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განახლებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებაზე.

#### 2.2. კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი შესაბამისი მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. ასევე განიხილება სტუდენტებისთვის კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული და სათანადო მემორანდუმებით გამყარებული სავალდებულო პრაქტიკა/სტაჟირების ჩართვა პროგრამაში, რაც, ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

#### 2.3. კომპონენტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობების შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად სწორად დაჯგუფება.

#### 2.4. კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკებში გაიმიჯნოს განსხვავებები ქულობრივი გადანაწილებებისას.
- რეკომენდებულია „ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის“ სასწავლო კურსში დაიხვეწოს შეფასების რუბრიკების შინაარსობრივი ნაწილი.
- რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური (ბიზნესის ენა) და დარგობრივი ინგლისური (დიპლომატიის ენა) სასწავლო კურსებში სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის კუთხით შეფასების მეთოდებისა და ფორმების ისეთ შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი უნარების შემოწმებას.

#### 4.1. კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, პროგრამაში პერსონალის განმსაზღვრელი სტატუსები „მონვეული დოქტორი“, „მონვეული მაგისტრი“, „შტატის პედაგოგი“ განიმარტოს და დარეგულირდეს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების ამსახველი დოკუმენტით.

#### 4.3 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარი და მასში აისახოს არამხოლოდ განვლილი საგნის შეფასება, არამედ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ინფორმაციული იქნება პროფესორისა და მის მიერ საგნის სწავლების პროცესის შესაფასებლად, რაც უმაღლეს სასწავლო დანესებულებას დაეხმარება პერსონალის განვითარების, დანინაურებისა და წახალისების პროცესის ობიექტურად წარმართვაში
- რეკომენდებულია გაცვლით პროგრამებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების პროცესში უფრო მეტი პერსონალის, მათ შორის მონვეული პროფესორ-მასწავლებლის ჩართვა.

#### 4.4 კომპონენტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, დანესებულებამ იზრუნოს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რაც საჭიროა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

#### 5.3. კომპონენტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### 1.1. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია პრომითი ბაზრის კვლევის პროცესში მეტი რესპონდენტის ჩართვა, რაც მეტად უზრუნველყოფს რეალური და ობიექტური სურათის შექმნას.



- სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი მუშაობა გრძელვადიანი და მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება/გამყარების კუთხით, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეტი სტუდენტისათვის საერთაშორისო გამოცდილების შესაძლებლობის მიცემას.

#### 1.4 კომპონენტთან მიმართებით

- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის საკითხების მეტად ასახვა, კონკრეტულად, მეტი სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზება.

#### 2.2. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულების ყველა აქტიურ და პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმების გაფორმება.

#### 2.3 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებლმა პერსონალმა ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის შესაბამისი კონკრეტული მაგალითები გამოიყენოს შემთხვევის ანალიზის მეთოდის აღწერისას.

#### 2.4 კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში საბაკალავრო ნაშრომის არჩევასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ტექნიკური სახის ხარვეზის შემცველი ფრაზა „ქართული ფილოლოგიის სფერო“ ჩასწორდეს და შესაბამისად ჩანაცვლდეს „ინგლისური ფილოლოგიის დარგით“

#### 3.1. კომპონენტთან მიმართებაში

- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ადგილობრივი და უცხოელი სპიკერების ხსირად მოწვევა საჯარო ლექციების ჩასატარებლად, რაც სტუდენტებს კომუნიკაციური უნარების გაძლიერებაში დაეხმარება.

#### 4.3. კომპონენტთან მიმართებით

- სასურველია პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

#### 5.3. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, პროგრამის უცხოურ ანალოგებთან დადარების ანალიზს მიეცეს კვლევითი ხასიათი, ვიდრე ფორმალურ-სქემატური და მასში დეტალურად და დანვრილებით აღინეროს თითოეულ ანალოგთან პროგრამის დადარების ანალიზის შედეგები, რაც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, გაუადვილებს საერთაშორისო გამოცდილების მიზნობრივად გაზიარებას.
- სასურველია სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით/არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სსიპ- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აკრედიტაციის დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საპასუხოდ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ გაზიარდა ექსპერტთა მიერ არგუმენტების ყურადღებით გაცნობის შედეგად; კერძოდ, 1.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და ამ პროცესის დოკუმენტურად დადასტურების შესახებ მოდიფიცირდა და გადავიდა რჩევაში იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიციის დანართად წარმოადგინა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი ცნობები, რაც აქამდე ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ასევე, რჩევაში გადავიდა 5.3. კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული ერთ-ერთი რეკომენდაცია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის სპეციალური კითხვების საშუალებით შეფასების თაობაზე, რადგან ექსპერტებმა გაითვალისწინეს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში ხაზგასმული გარემოება, კერძოდ ის, რომ ბაკალავრიატის დონეზე საბაკალავრო ნაშრომი სასწავლო კომპონენტს წარმოადგენს და მისი ხელმძღვანელობის შეფასება მინიმალურად, თუმცა გარკვეულწილად მაინც შესაძლებელია სასწავლო საგნის შეფასებისთვის გამოყენებული საერთო კითხვარით. სასწავლო საგნის შეფასების პროცესთან დაკავშირებით კი გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტებს აქვს აქვთ კონკრეტული რეკომენდაციები პროცესის ადმინისტრირებისა და კითხვარის დახვეწის შესახებ (იხ. კომპონენტები 4.3 და 5.3.), რაც არ შეცვლილა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად და კვლავ ძალაში რჩება.

რაც შეეხება 1.4 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ ერთ-ერთ რეკომენდაციას პროგრამის სწავლის შედეგების მაქსიმალური მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსის „დიპლომატიის ენა“ სავალდებულო საგნების ნუსხაში ასახვის თაობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიაზიარა უნივერსიტეტის არგუმენტი, რადგანაც დადასტურდა მოცემული შედეგის სხვა სავალდებულო სასწავლო კურსით „მასმედიის ენა“ უზრუნველყოფა შედეგების რუკისა და შესაბამისი კურსის სილაბუსის ანალიზის შედეგად, და მოცემული რეკომენდაცია მოდიფიცირებული ფორმით ასახა წინამდებარე დასკვნაში. კიდევ ერთი რეკომენდაცია- 4.3. კომპონენტთან მიმართებით პერსონალის შეფასების პროცესის სავალდებულოდ განსაზღვრას თაობაზე, ჩასწორდა, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში განმარტა პერსონალის შეფასების პროცესის სავალდებულო სტატუსი.

აღსანიშნავია, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში 1.1. კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციად მოხსენიებული ექსპერტთა რჩევა შრომითი ბაზრის კვლევაში მეტი რესპონდენტის ჩართვის თაობაზე, რაც ფაქტობრივი უზუსტობაა.

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

მოცემული შენიშვნა რჩევის სახით იყო და არის ჩამოყალიბებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გათვალისწინება სასურველია, თუმცა არა სავალდებულო.

რაც შეეხება უნივერსიტეტის მხრიდან ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიღებასა და გაზიარებას, უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაიზიარა მათი შინაარსი ( 1.1.; 1.4.; 2.3; 2.4; კომპონენტებთან მიმართებით გაზიარდა 4 რეკომენდაცია); სხვა რეკომენდაციებთან მიმართებით ექსპერტთა მიერ მოყვანილ ფაქტობრივ თუ ანალიტიკურ-არგუმენტირებულ გარემოებებზე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ან ვერ დადასტურდა აკრედიტაციის შეფასების პროცესში, ან უნივერსიტეტის მიერ მოყვანილმა კონტრ-არგუმენტებმა ვერ გადაწონა პროგრამის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები და შესაბამისად, ისინი უცვლელად აისახა წინამდებარე დასკვნაში. უფრო დეტალურად არგუმენტები განხილულია რეკომენდაციების შესაბამისი სტანდარტების აღწერილობით ნაწილში.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშის ანალიზისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მოცემული პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლის სფეროების გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტების - „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) ფართო- ჰუმანიტარული მეცნიერებების, ვიწრო- ენებისა და დეტალური სფეროების- ენის დაუფლების შინაარსსა და სპეციფიკას; კერძოდ, პროგრამის მიზანია ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიონალის მომზადება.

პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, რამდენადაც მისი შინაარსი და სწავლა-სწავლების მეთოდები მიმართულია ისეთი თანამედროვე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ, რომელსაც გააჩნია ეთიკური, მულტიკულტურული და მსოფლმხედველობრივი ღირებულებები, ხელს უწყობს ეროვნული და გლობალური იდეალების გაზიარებას, პასუხისმგებელია საკუთარი მომავლის დაგეგმვაზე, კონკურენტუნარიანია პროშით ბაზარზე და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩართულია სოციალურ-ეკონომიკურ, ტურიზმისა და საზოგადოების განვითარებელ საქმიანობაში.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს სწავლების, კერძოდ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის- ბაკალავრიატის თავისებურებებს და ორიენტირებულია, გადასცეს სტუდენტის ზოგადიგანათლების შემდგომი საფეხურისათვის რელევანტური კომპლექსური ცოდნა, რაც კონკრეტულად „[...] მოიაზრებს ზოგადი [...] თუ დარგობრივი ინგლისურის [...], აგრეთვე, ენათმეცნიერების [...], ლიტერატურათმცოდნეობისა [...] და თარგმანმცოდნეობის[...] ძირითად საბაზისო საკითხებს, ტენდენციებსა თუ პრონციპებს,

რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზისა და სინთეზის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას” (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისური ფილოლოგია, გვ. 4).

შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მიზნები უმეტესად ნათლად არის ჩამოყალიბებული, რადგანაც მათში იკითხება თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევას; კერძოდ, #1 მიზნის ფორმულირებას სამიზნე ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრისას გამოყენებულია ფრაზა „აუმაღლოს ენობრივი კომპეტენციები ინგლისურ ენაში“, რაც ზოგადი, არაინფორმაციული და ბუნდოვანი სახის ჩანანერია, და შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს. შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, მიზანწონილია, პროგრამის მიზნების ნაწილში სამიზნე ენობრივი კომპეტენციის დონის დაკონკრეტება „ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ CEFR ( Common European Framework of Reference for Languages) მიხედვით.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია მისი შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსის ( მაგ., მიზანი- ზოგადი და დარგობრივი ინგლისურის ცოდნა= სასწავლო კურსები „ინგლისური ენა 1,2,3,4,5“; „ტექსტი და კომუნიკაცია“, მიზანი ენათმეცნიერების პრინციპები= სასწავლო კურსები „ინგლისური ენის ფონეტიკა-ფონოლოგია“, „თეორიული გრამატიკა“, „სტილისტიკა“, და სხვ.), სწავლა-სწავლების მეთოდების ( მაგ., მიზანი - სხვადასხვა გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება= ჯგუფური მუშაობის მეთოდი, თანამშრომლობითი მეთოდი; მიზანი-კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზისა და სინთეზის უნარების ჩამოყალიბება=ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, დისკუსია დებატები და სხვ.), ასევე რეგიონში გამოკვეთილი შრომითი ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებით; კერძოდ, პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრისა მოთხოვნების ანალიზის მიხედვით განისაზღვრა პროგრამაში დასაქმების სფეროები და კომპეტენციები. ასე მაგალითად, აღნიშნული კვლევის მიხედვით, ინგლისური ენის მცოდნე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივა არის ინგლისური ენის სპეციალისტის, პედაგოგის, გიდის, მდივნის, იმპორტისა და კვლევითი პროექტების მენეჯერისა და სხვ. პოზიციებზე კახეთის რეგიონის სახელმწიფო და კერძო კომპანიებში, რაც ასახულია პროგრამის დასაქმების სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ თელავის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს მჭიდრო კავშირი აქვს პოტენციურ დამსაქმებელთან, რომელიც ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, თავად უკავშირდება უნივერსიტეტს კადრების მოძიების მიზნითა და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიული ნიშნით დასაქმებას. აღნიშნული საკითხი დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუზეც დადასტურდა. ამ მიმართულებით ასევე გამოიკვეთა კახეთის რეგიონში თელავის უნივერსიტეტის პრესტიჟი და პოტენციური დამსაქმებლისთვის ინგლისური ენის ცოდნის პრიორიტეტულობა განსაკუთრებით რეგიონისთვის მზარდად პოპულარული ტურიზმის სექტორში გიდისა თუ სასტუმროს ადმინისტრატორის ვაკანსიებზე, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის პროცესში პროექტების წერისა თუ თარგმნის კუთხით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში - ინგლისური ენის პედაგოგის პოზიციებზე დამატებითი კვალიფიკაციის მიღწევის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შრომის ბაზრის კვლევა ვერ განზოგადდება საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებზე, რადგანაც მასში ასახულია მხოლოდ ადგილობრივ ვებ-გვერდებზე გამოცხადებული ვაკანსიები და დამსაქმებლებისგანაც აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელია, თუ არ ჩავთვლით რეგიონში მოქმედ ერთეულ საერთაშორისო ორგანიზაციებს ( 13 -დან 1) . შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, რეკომენდებულია საერთაშორისო შრომითი ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების მეტად ასახვა შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რაც ასევე მიზანშეწონილია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისათვის.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტმა შეგნებულად აუარა გვერდი საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და კვლევას, რადგან ბოლო 10 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემებისა და ბაკალავრიატის საფეხურის გათვალისწინებით, მათი აზრით, არ დგება საერთაშორისო მასშტაბის კვლევის საჭიროება უნივერსიტეტის ამ არგუმენტებს ექსპერტთა ჯგუფი, ბუნებრივია, ვერ გაიზიარებს, რადგან 1) პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყოველთვის შეიძლება გამოიკვეთოს საერთაშორისო მასშტაბით დასაქმების საჭიროება, რისთვისაც პროგრამა მზად უნდა იყოს; 2) პროგრამის განვითარებისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების სულ მცირე შედარება/ გაანალიზებას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის ნებისმიერ კომპონენტთან მიმართებით.

ამას გარდა, მეტი დამატებლობისთვის, სასურველია, შრომითი ბაზრის კვლევის პროცესში შეძლებისდაგვარად მეტი რესპონდენტის ჩართვა, რაც მეტად უზრუნველყოფს რეალური და ობიექტური სურათის შექმნას.

ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონტექსტისა და გამოცდილების გაცნობა/ გაზიარება, რაც საგრძნობლად ზრდის უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურობას მითუფრო ისეთ ქვეყანაში, სადაც ინგლისური ენა წარმოადგენს უცხო ენას და არა მეორე ენას ( English as a Foreign Language ( EFL) vs English as a Second Language ( ESL) ). დოკუმენტაციისა და ინტევიუს შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ ამ მიზნით, პროგრამის მაპროფილელებელი საგნების გარკვეული რაოდენობა იკითხება ინგლისურად (მაგ., „ესე ინგლისურ ენაზე“, „ინგლისური ენა 1,2,3,4,5“). ასევე პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოიყენება ონგლისურენოვანი ლიტერატურა.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუზე სტუდენტებმა გაიხსენეს მათი წარსულში ერთ-ერთი უცხოელი მასწავლებელი, რომელიც ძალიან დაესმარა მათ ენობრივი ბარიერის გადალახვაში, აღნიშნული პრაქტიკა ხორციელდებოდა აშშ-ს სამშვიდობო კორპუსის ( Peace Corps) პროექტის ფარგლებში აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით, თუმცა ექსპერტებისთვის თავდაპირველად მიზნდებულ დოკუმენტაციაში აღნიშნული თანამშრომლობა, ისევე, როგორც თვითშეფასების დოკუმენტში ნახსენები უცხოელი მოხალისე პედაგოგის პროგრამაში კვლავ ჩართვა, დოკუმენტურად არ დადასტურდ, რაც გახდა რეკომენდაციის საფუძველი. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული თანამშრომლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, ისევე, როგორც

ინტერნაციონალიზაციის მიზნით, პროგრამაში კიდევ ერთი ამერიკელი პროფესორის შემდეგი სემესტრიდან მოწვევის შესახებ ინფორმაცია, რაც გაიზიარეს ექსპერტებმა და შესაბამისი რეკომენდაცია რჩევის სახით ფორმულირდა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მაინც სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი მუშაობა გრძელვადიანი და მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება/გამყარების კუთხით, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეტი სტუდენტისათვის ( ამ ეტაპისთვის ფიქსირდება გაცვლით პროგრამაში მოაწილე მხოლოდ 5 სტუდენტი) საერთაშორისო გამოცდილების შესაძლებლობის მიცემას.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები სრულად საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, სადაც მისი ნახვა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- თესაუ-ს ვებ გვერდი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)
- პროგრამების გარე შეფასებების ანალიზი

### **რეკომენდაციები:**

- მიზანწონილია, პროგრამის მიზნების ნაწილში სამიზნე ენობრივი კომპეტენციის დონის დაკონკრეტება „ენების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ CEFR ( Common European Framework of Reference for Languages) მიხედვით.
- რეკომენდებულია საერთაშორისო შრომითი ბაზრის ტენდენციებისა და საჭიროებების მეტად ასახვა შრომითი ბაზრის კვლევის დოკუმენტში,

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, შრომითი ბაზრის კვლევის პროცესში მეტი რესპონდენტის ჩართვა, რაც მეტად უზრუნველყოფს რეალური და ობიექტური სურათის შექმნას.
- სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი მუშაობა გრძელვადიანი და მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება/გამყარების კუთხით, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეტი სტუდენტისათვის საერთაშორისო გამოცდილების შესაძლებლობის მიცემას.

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	■	☐	☐

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წამორდგენილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში განერილია 9 შედეგი, რომელიც ჩამოყალიბებულია 3 მიმართულებით; კერძოდ, ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა და/ან ავტონომიურობის მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. მოცემული შედეგები ზედმიწევნით შეესაბამება პროგრამაში დასახულ მიზნებს და პროგრამის შინაარსის აღევატურია; მაგალითად, შედეგი # 5 „[...] იყენებს ზოგად[...] და დარგობრივ [...] საკითხებზე დისკუსიის წარმართვისთვის საჭირო ენობრივ უნარებს (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა)“, ისევე, როგორც შედეგი # 2 „აქვს პრაქტიკული ინგლისური ენის [...] ფართო ცოდნა [...]“ „[...] აღწერს და მიმოიხილავს დარგობრივ [...] ინგლისურთან დაკავშირებულ ენობრივ მახასიათებლებსა და თავისებურებებს“ შეესაბამება პროგრამის # 3 მიზანს- „[...] გადასცეს კურსდამთავრებულს ფართო/კომპლექსური ცოდნა ინგლისური ფილოლოგიის ცალკეული დარგების ძირითად მიმართულებებში, რაც მოიაზრებს ზოგადი თუ დარგობრივი ინგლისურის, [...] აგრეთვე, ენათმეცნიერების [...] ძირითად საბაზისო საკითხებს“, ხოლო აღნიშნული შედეგები მიიღწევა პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული სასწავლო კურსებით -ინგლისური ენა 1,2,3,4,5; „ტექსტი და კომუნიკაცია“, „ტურიზმის ენა“, „ბიზნესის ენა“, „დიპლომატიის ენა“, „ფონეტიკა- ფონოლოგია“, „ესე ინგლისურ ენაზე“ და სხვ.

„ინგლისური ფილოლოგიის“ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად, რამდენადაც პასუხობს კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მე-6 დონის- ბაკალავრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ( მაგ., უნარი- „[...]საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად“ = შედეგი #6 „[...] წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, განერილი სამუშაო გეგმის საფუძველზე, სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ წყაროებზე დაყრდნობით, ქმნის პრაქტიკულ დავალებასა (არგუმენტირებული ესე, თავისუფალი თემა, წერილობითი კორესპონდენცია, საგაზეთო სტატია, ნათარგმნი ტექსტი...) და/ან კვლევითი ხასიათის პროექტს/ნაშრომს“ ). გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია შედეგების რუკაში წამორდგენილი 3 დონიანი რუბრიკის მიხედვით- 1- გაცნობა, 2- გაღრმავება, 3- განმტკიცება.



პროგრამაში ჩამოყალიბებული შედეგები რეალისტურია რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით ინგლისური ფილოლოგიასთან ასოცირებული დასაქმების სფეროების მოთხოვნებისა და პოტენციური თუ არსებული დამსაქმებლის საჭიროებებისა და უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც შრომითი ბაზრის ანალიზის დოკუმენტისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით დადასტურდა. მაგალითად, შრომითი ბაზრის ანალიზში დამსაქმებლის მიერ პრიორიტეტულად დასახელებული გუნდური მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, ბიზნესისა და ტურიზმის სექტორისთვის რელევანტური გამართული კომუნიკაციის უნარები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგებში, ისევე, როგორც სწავლის შემდგომ ეტაპზე-მაგისტრატურაში გაგრძელებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა, როგორცაა, მაგალითად, „ინგლისურ ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე, თავის აკადემიურ და პროფესიონალურ განვითარებაზე“ ზრუნვა და „კვლევითი ხასიათის პროექტს/ნაშრომის მომზადება და კონფერენციებში ზეპირი და წერილობითი მოხსენებების გაკეთების უნარები. დასაქმებასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში არსებულმა დამსაქმებელმა პროგრამის კურსდამთავრებულების ცოდნა, კომპეტენცია და ზოგადტრანსფერული უნარები საკმაოდ დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ყოველთვის ისურვებდნენ მსგავსი კადრის დასაქმებას საკუთარ ორგანიზაციებში. რაც შეეხება პოტენციურ დამსაქმებელს, მათ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კვალიფიციურობის მიღმა რეგიონში უნივერსიტეტის პრესტიჟი დაასახელეს.

რაც შეეხება პროგრამაში აქცენტირებულ დარგობრივ ინგლისურთან, კონკრეტულად, ბიზნესი, ტურიზმი და დიპლომატიის ენა- ასოცირებულ შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მათ გამომუშავებაზე ორიენტირებულ კურსებსა და აქტივობებს, სამივე მათგანი ჩართულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს, თუმცა არჩევითი საგნების ბლოკში ,რაც ნიშნავს იმას, რომ თუ სტუდენტი არ აირჩევს მოცემულ კურსებს, მათთან ასოცირებული შედეგების მიღწევაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ექვერტა აზრით, მოცემული საკითხი ეხება პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს და შესაბამისი დეტალიზაცია მოცემულია 1.4. კომპონენტის ნაწილში ( იხ. 1.4. ქვესტანდარტი).

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა ყველა დაინტერესებული მხარის, აკადემიური და მონვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი) ჩართულობით, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია დამსაქმებლების აქტიურობა, რომლებიც, როგორც ინტერვიუზე გაირკვა, ხშირად თავად უკავშირდებიან უნივერსიტეტს და სთავაზობენ ამა თუ იმ ვაკანსიას, განიხილავენ დასაქმების სხვადასხვა პერსპექტივებზე პროგრამის მორგებას, პროგრამის პერსონალი კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“
- სწავლის შედეგების რუკა'
- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	■	□	□	□

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საკრედიტაციოდ წარმოდგენილ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების მიღწევადობის შესაფასებლად გამოიყენება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის შეფასების შიდა სისტემის ფარგლებში შემუშავებული და განერილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცალკეულ კურსების შეფასებისთვის არსებობს სხვადასხვა საშუალებები, მაგალითად, „შედეგების შეფასების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისათვის, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების ფორმას და საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურებს; სილაბუსის ფორმა და შეფასებისთვის შემუშავებული კითხვარი” ( საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. გვ. 1). გარდა ამისა, მოცემულ დოკუმენტში განერილია

რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორების გამოყენება ( მაგ., დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „კომპეტენციები – დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები შესაბამისი უნდა იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან; გამოკითხვების ანალიზი –პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მონწვეულიპროფესორების/მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები; დამსაქმებელთა გამოკითხვა შემუშავების პროცესში და განხორციელების შეფასება” და სხვ.

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან ერთად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დოკუმენტი წარმოადგენს თავად პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს. აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის არაპირდაპირ შეფასებას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დაწესებულებაში არსებული მექანიზმი ეყრდნობა აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით რეკომენდირებულ მეთოდოლოგიას, თუმცა პროგრამის კონკრეტული შედეგის შეფასების პირდაპირ მეთოდად ითვალისწინებს განმამტკიცებელ სასწავლო კურსში (მესამე დონის სასწავლო კურსში) მითითებული შეფასების სქემის არა ერთ რომელიმე კონკრეტულ კომპონენტს/კონკრეტულ აქტივობას, არამედ სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებას, რაც არ არის რეკომენდირებული განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს თანახმად “...პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მონმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ....სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც.....(<https://eqe.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>).

პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმის სრულად იმპლიმენტაცია განხორციელდება მომავალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის პერსონალის უფრო მჭიდრო და კომბინირებული თანამშრომლობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას და შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგის გამოყენება, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის დანართში # 5 დადგენილი და განერილია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით, რაც ასევე ხაზგასმულია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში, აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში ისევე, როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი დადარება და შესაბამისი ანალიზი ვერ დადასტურდა. აქვე აღსანიშნავია, რომ, როგორც აკრედიტაციის ვიზიტმა ცხადყო, პროგრამის

აკადემიურ და მონვეულ პერსონალს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესახებ ამომწურავი და გააზრებული ინფორმაცია არ გააჩნია, რაც მიუთითებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის პროგრამის შედეგების შეფასების კუთხით სიღრმისეული და კოორდინაციული თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობაზე პროგრამის შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“
- სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2) ;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 3);
- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით (დანართი 5.)
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი შეფასებისას გამოიყენებოდეს შეფასების კომპონენტებიდან იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.
- მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების დროს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეათვასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა შედგენილია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და 2020 წელს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქციის შესაბამისად; რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტების - „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) მიხედვით განხორციელებული, ტერმინებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. მას დანართის სახით თანდართული აქვს სასწავლო გეგმის, სწავლის შედეგებისა და შედეგების შეფასების რუქების, სამიზნე ნიშნულების, სილაბუსისა და სხვ. შაბლონები, რომლებიც ზედმიწევნითაა გამოყენებული მოცემული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ.

შინაარსის, მოცულობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა შეესაბამება სწავლის საფეხურს- ბაკალავრიატს იმდენად, რამდენადაც გულისხმობს ინგლისური ფილოლოგიის სფეროსათვის რელევანტური თეორიული ( მაგ., „ლექსიკოლოგია“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორია“ და სხვ.), პრაქტიკული ( ინგლისური ენის კომპეტენციის განმავითარებელი საგნები, ასევე „თარგმანის ხერხები და სტრატეგიები“ და სხვ) და კვლევითი კომპონენტის ( მაგ., საბაკალავრო ნაშრომი) კომპლექსურ ათვისებას მრავალფეროვანი შინაარსის მქონე სასწავლო კურსების მეშვეობით, რომელთა საერთო მოცულობაც მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს 4 წლის, 8 აკადემიური სემესტრის განმავლობაში. აქედან ერთი კრედიტი უტოლდება 25 (ოცდახუთ) საათს, რაც აერთიანებს სტუდენტის, როგორც სააუდიტორიო/ საკონტაქტო, ისე - დამოუკიდებელ მუშაობას, რაც ასევე შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესს და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას. პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი 240 კრედიტი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს (ინგლისური ფილოლოგია) სავალდებულო ( 120 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით (20 კრედიტი) , საუნივერსიტეტო თავისუფალ-სავალდებულო ( 35 კრედიტი) და თავისუფალ არჩევით კომპონენტებს (5 კრედიტი) . ექსპერტთა აზრით, მოცემული კომპონენტის ცალკეულ სასწავლო კურსებს კრედიტები ლოგიკურად აქვთ მინიჭებული ასათვისებელი მასალისა და მოცულობის გათვალისწინებით ( მაგ., საბაკალავრო ნაშრომს, რომლის მისამზადებლადაც 250 ასტრონომიული საათია გათვლილი, ენიჭება 10 კრედიტი-2 ჯერ მეტი ისეთ საგნებზე, მაგ., „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ენათმეცნიერების შესავალი“ და სხვ. რომელთა მოცულობის ასათვისებლადაც განწერილია 125 საათი= 5 კრედიტის შესაბამისობით).

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეგიონის ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ სპეციფიკაზე მორგებული შინაარსის ( მაგ., ბიზნესი, დიპლომატია, ისტორია ) და რეგიონისთვის თავად პროგრამის განმახორციელებელი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელობა გარკვეულწილად განაპირობებს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას, რასაც ასევე ხაზი გაესვა ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის პერსონალის მხრიდანაც.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურისა და შინაარსის საშუალებით სწავლის შედეგების მოიღწევადობასთან დაკავშირებით პროგრამის, თანდართული სილაბუსებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ანალიზის შედეგებით გამოიკვეთა საყურადღებო გარემოება. პროგრამის სწავლის შედეგებში, რამდენჯერმე ფიგურირებს დარგობრივი ინგლისური, კერძოდ, ბიზნესის, ტურიზმისა და დიპლომატიის ენა. ამას გარდა, თავად პროგრამის პერსონალმა და დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ რეგიონისთვის მოცემული სფეროები განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და მათთვის ინგლისური ენის ცოდნასთან ერთად აუცილებელია ის უნარ-ჩვევები, რაც დასახელებულ სფეროებში პროფესიონალურად ფუნქციონირებისთვის არის საჭირო. მიუხედავად ამისა, სამივე სასწავლო კურსი „ბიზნესის ენა“, „ტურიზმის ენა“ და „დიპლომატიის ენა“ პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების სტატუსით, რაც ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ თუ სტუდენტები არ აირჩევენ ამ კურსებს, ისინი 1) მოცემულ სფეროებთან ასოცირებულ კომპეტენციებსა და უნარებს ვერ დაადასტურებენ ; 2) მათი დასაქმების შანსები საგრძნობლად დაიკლებს შრომით ბაზარზე, მითუფრო მაშინ, როდესაც პროგრამის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ სტუდენტებთან ინტერვიუზე სწორედ პრაქტიკული კომპონენტი დასახელდა: ანუ სტუდენტები აღნიშნული უნარების გამომუშავებას ვერც სხვა სავალდებულო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ კურსებში მოახერხებენ, რადგან დარგობრივი ენების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი გაცნობა-გაღრმავება- განმტკიცება შრომატევადი პროცესია და სხვა პროფილის კურსის შინაარსში შესაბამისი უნარების „ჩაშენებული პრაქტიკული“ დავალებებით გამომუშავება ნაკლებსავარაუდოა. ინტერვიუზე ეს საკითხი არაერთხელ გაუღერდა ექსპერტების მიერ, რაზეც მიიღეს პასუხი, რომ მოცემული კურსების გადანაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით, იძლეოდა მათი არჩევითობის გარანტიას, თუმცა ექსპერტები არ იზიარებენ ამ არგუმენტს, რადგანაც, მაგალითად ბიზნესისა და ტურიზმის ენა- ორივე შეთავაზებულია მე-7 სემესტრში, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ორივე მათგანის გავლას სტუდენტის მიერ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსები „ბიზნესის ენა“ და „ტურიზმის ენა“ აისახოს პროგრამის სავალდებულო საგნების ნაწილში, რათა პროგრამის სტრუქტურამ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა ყველა სტუდენტისთვის.

დარგობრივ ინგლისურად დასახელებულ მესამე სასწავლო კურსთან „დიპლომატიის ენა“ დაკავშირებით, ექსპერტებმა, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსისა და პროგრამის შედეგების რუკის ანალიზის შედეგად. გაიზიარეს უნივერსიტეტის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სავალდებულო კურსი „მედიის ენა“ შინაარსობრივად ითვალისწინებს პოლიტიკური თემატიკის ამსახველ ტექსტებს ინგლისურენოვანი სტატიებისა და პოლიტიკურ დისკურსის - პოლიტიკოსთა წერილობითი გამოსვლების ე.წ. „სფიჩის“სახით, რაც, თავის თავში, მოიცავს დიპლომატიის ენის ელემენტებსაც და. შესაბამისად, დიპლომატიასთან ასოცირებული ან მსგავსი კომპეტენციის გამომუშავებას რეალურს ხდის. შესაბამისად,

კურსის „დიპლომატიის ენა“ სავალდებულო საგნების ბლოკში გადატანის საჭიროება ამ ეტაპზე არარ დვას.

ამის ფონზე, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული სასწავლო კურსის „ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი“ სილაბუსის გაცნობის შემდეგ, ექსპერტებისთვის ბუნდოვანება გამოიწვია პროგრამაში მისი სავალდებულო საგნის სტატუსით ჩართვამ, მაშინ. როცა სილაბუსით გათვალისწინებულია კონკრეტული ავტორების ( მაგ., უილიამ შექსპირის, ჩარლზ დიკენსის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის და სხვ., რომლების დაფარვაც ლიტერატურაზე ორიენტირებული კურსების ფარგლებშიც შესაძლებელია მოქნილი სწავლა/სწავლების მეთოდების, მაგ., შებრუნებული გაკვეთილის და სხვ. გამოყენებით ) მხატვრული ნაწარმოებებისა და მათი შესაბამისი ეკრანიზაციის გარჩევა - გაანალიზება, რაც, უდავოდ საინტერესო შინაარსია, თუმცა, ექსპერტების აზრით, უფრო არჩევითი საგნების სპეციფიკას ერგება, ვიდრე ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნების შინაარსს და მისი ამ ნაწილში სწავლების საკითხი უნდა გადაიხედოს, მითუფრო მაშინ, როცა პროგრამაში ზემოთაღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილების საკითხიც იკვეთება.

სხვა მხრივ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემავალი სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტი თანმიმდევრულად არის დალაგებული და, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად მათი შინაარსობრივი განვითარებაც იკვეთება. ასე მაგალითად, „ენათმეცნიერების შესავალი“, რომელსაც გაცნობითი ხასიათი აქვს, წინაპირობაა კურსისა „ინგლისური ფილოლოგიის შესავალი“, რომელიც, თავის მხრივ წინაპირობაა ისეთი სასწავლო კურსებისა ( „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია“), რომლებიც ინგლისური ფილოლოგიის სხვადასხვა ასპექტის გაღრმავება/განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ამას გარდა, არჩევითი კურსებისთვის წინაპირობად დასახული სავალდებულო სასწავლო კურსების სემესტრული გადანაწილებაც ლოგიკურია (მაგ., VI სემესტრში შეთავაზებული არჩევითი კურსისთვის „შემოქმედებითი წერა“ წინაპირობად დასახულია IV სემესტრში დასაფარი „ესე ინგლისურ ენაზე“ და სხვ.).

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ასახულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები, კერძოდ, პროგრამაზე ისწავლება ისეთი საგნები, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა მიერ საერთაშორისო კონტექსტის გააზრებასა და გაზიარებას ( მაგ., „ამერიკანისტიკა- ამერიკული რომანი“, „ბრიტანეთისა და ამერიკის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები“ და სხვ.), გარდა ამისა, პროგრამა საუნივერსიტეტო თავისუფალი-სავალდებულო კურსის სახით სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსებს უცხო ენაში (იტალიური/გერმანული/რუსული)20 კრედიტის ფარგლებში, რაც , ასევე მიმართულია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისკენ. პროგრამაში ამას გარდა, რამდენიმე საგანი ისწავლება ინგლისურ ენაზე ( მაგ., „ესე- ინგლისურ ენაზე“, „ინგლისური ენა 1,2,3,4,5“ და სხვ ), თუმცა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სფეროს სპეციფიკისა და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით ( აკრედიტაციის ვიზიტის დროს რამდენჯერმე ხაზიგაესვა წარსულში პროგრამაში ჩართული უცხოელი პროფესორების დადებითი გავლენას სტუდენტებზე, რაც მათ დაეხმარათ ენობრივი ბარიერის გადალახვაში), პროგრამის განვითარებისა და მაქსიმალური ათვისების მიზნით, სასურველია სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის საკითხების მეტად ასახვა, კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტი სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზების გზით.



საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ცალკეული კურსების სწავლებისას ( მაგ., „მედიის ენა“) გამოიყენება ავთენტური მასალა მაღალრეიტინგული ონლაინ გაზეთებისა და ჟურნალების სახით ( მაგ., The New York Times და სხვ.), რაც ეხმარება ინგლისური ენის სპეციფიკასა და მის სწრაფადცვალებად ბუნებას Lingua Franca-ს სტატუსიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამა ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით, რომელიც ( მაგ., Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>) SAGE Premier (<https://journals.sagepub.com>) ზოგიერთი სავალდებულო კურსის სწავლებისასაც გამოიყენება (მაგ. „ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა“). თუმცა, რიგ შემთხვევებში პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად ფიგურირებს 20-50 წლის წინანდელი გამოცემები (მაგალითად,1) სასწავლო კურსში „ლექსიკოლოგია-ლექსოკოგრაფია“, სხვა შედარებით ახალ გამოცემებთან ერთად სავალდებულო ლიტერატურად გამოიყენება „Arnold, V.I. Lexicology of modern English Language, Moscow, 1973“, ასევე, Leonhard Lipka, (1992), An Outline of English Lexicology, Lexical Structure, Word Semantics, and Word-Formation, Max Niemeyer Verlag Tübingen, რომლებიც საკმაოდ ხშირად ფიგურირებს სტუდენტის მიერ წასაკითხ ლიტერატურაში (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში აღინიშნა, ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდება, რადგან ეს ავტორი დამატებით ლიტერატურად გამოიყენება და არა ძირითადად, თუმცა ამ შემთხვევაშიც სასურველია პროგრამის ახალი გამოცემებით შევსება). 2) სასწავლო კურსში „ლიტერატურის თეორია“ ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია „ა.განერელია და სხვები, ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1978“ და წინა მაგალითის ანალოგიურად, ეს წიგნიც წამყვან წყაროდ ისახება სილაბუსის მიხედვით.; 3) სასწავლო კურსში „ენათმეცნიერების შესავალი“ სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს 1991 წლის გამოცემას- გ.ნებიერიძე-ენათმეცნიერების შესავალი, თბ, 1991 წ. და სხვ. ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებითაც, როგორც უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდება და რეალურად მოცემულ საგანში 2021 წლის გამოცემა თ. ავალიანისა და მ. არაოშიძის ავტორობით ანაცვლებს ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელოს, თუმცა ამ ლიტერატურით შევსებული სილაბუსი ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ არის), რაც გაუმართლებელია, განსაკუთრებით კი ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებისთვის მოძველებული ენისა თუ თანამედროვეობისათვის არარელევანტური კონტენტის გამო. უახლესი ლიტერატურისა და ავთენტური მასალის მოძიება და გამოყენება სწავლის პროცესში კი, ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას, ეხმარება მათ სხვადასხვა თეორიული პრინციპისა თუ არგუმენტის გააზრებაში, უკეთ ამზადებს უცნობი და დაუგეგმავი კონტენტისათვის და უბრალოდ, კიდევ ერთი საშუალებაა მათ მიერ ცოცხალ და თანამედროვე ენასთან ინტერაქციისა.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჭაროობასა და ხელმისაწვდომობას ვებ- გვერდის საშუალებით; კერძოდ, პროგრამა განთავსებულია თესაუს ვებ-გვერდის ბაკალავრიატის პროგრამების ბლოკში და შესაბამისი დასახელების ბმულზე დაკლიკებით ყველა დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე (<https://tesau.edu.ge/bakalavriati6>), თუმცა. მიუხედავად უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის დოკუმენტში არსებული ჩანაწერისა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორებულია, ვებ-გვერდზე კვლევ მოცემულია პროგრამის ძველი დასახელება „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, რაც საჭიროებს ჩასწორებას.



**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია“;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://tesau.edu.ge/bakalavriati6>

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეტად უზრუნველსაყოფად; კონკრეტულად,
  - დარგობრივ ინგლისურად დასახელებული სასწავლო კურსები- ბიზნესის და ტურიზმის ენა- აისახოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ნაწილში.
  - სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შემადგენელ კურსს „ლიტერატურული შედეგები და ფილმის სემინარი“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი.
- რეკომენდებულია, პროგრამის შემადგენელი კურსების შინაარსის ასათვისებლად უახლესი ლიტერატურის მოძიება, არსებულ სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა, და მისი მაქსიმალურად გადახალისება უახლესი გამოცემებით .
- საჭიროა, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაზუსტდეს და ჩასწორდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სახელწოდება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის საკითხების მეტად ასახვა, კონკრეტულად, მეტი სასწავლო კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზება

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

სტრუქტურა და შინაარსი				
-----------------------	--	--	--	--

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და შესაბამისი სილაბუსების გაცნობამ ცხადყო, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების ( სულ 34) სწავლის შედეგები უმეტესად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ასე მაგალითად, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო საგნებიდან საბაკალავრო ნაშრომის შედეგი - „[...] სტუდენტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს ინგლისური ფილოლოგიისათვის დამახასიათებელ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, სადაც აჩვენებს პროფესიონალურ ცოდნასა და მისი გამოყენების პრაქტიკულ მაგალითებს [...]“ (სილაბუსი, გვ. 2) პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგთან „[...] წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, განერილი სამუშაო გეგმის საფუძველზე, სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ წყაროებზე დაყრდნობით, ქმნის [...] კვლევითი ხასიათის პროექტს/ნაშრომს [...]“ (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ. 6) ; ასევე, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო საგნებიდან კურსის „დასავლეთ ევროპის ლიტერატურული პროცესები“ შედეგი „[...]განასხვავებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი) შორის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ მიმართებებს“ადეკვატურია პროგრამის # 4 შედეგისა „[...] განასხვავებს ევროპის [...] ლიტერატურულ მიმართებებსა და თავისებურებებს“ ( ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ. 5),

გარდა ამისა, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს ( მაგ. სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ მე-5 კვირაში განერილი არგუმენტირებული ესესთვის მოსამზადებელი ლიტერატურა და აქტივობა შეესაბამება მის შედეგს „[...] აღწერს და გადმოსცემს საკვლევი პრობლემის გარშემო სხვათა მოსაზრებებს; დებატებისა და შეფასებების დროს განიხილავს ოპონენტთა არგუმენტებს“ ( სილაბუსი, გვ. 2). ასევე, სასწავლო კურსის „კომპუტერის უნარ-ჩვევები“ მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კვირებში გასავლელი შინაარსი ( მაგ., პრაქტიკული სამუშაოს თემატიკა: MS Word ტექსტური რედაქტორის პარამეტრების გამოყენებით ინტერფეისის გამართვა. ტექსტურ რედაქტორში მუშაობისას ფაილის სხვადასხვა ვარიანტით შექმნის ინსტრუმენტების გამოყენება და სხვ) უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების „იყენებს MS Windows ოპერაციული სისტემის ბრძანებებს კომპიუტერის რესურსების, ინფორმაციის მართვისა და მომხმარებელთან ურთიერთქმედების უზრუნველყოფისათვის; იყენებს MS Office საოფისე პაკეტში შემავალ

პროგრამებს: MS Word, MS Excel, MS Power Point ტექსტური, ელექტრონულ-ცხრილური, საპრეზენტაციო დოკუმენტების მოსამზადებლად.” მიღწევას.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; მაგალითისთვის, სასწავლო კურსებისთვის „ ინგლისური ენა 1,2,3,4,5,” მინიჭებულია 6 კრედიტი , 150 საათი, რაც ასათვისებელი მასალის შესაბამისია (კურსის ფარგლებში სტუდენტებს უწევთ ენობრივი უნარების (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) ჩამოყალიბება-განვითარება ენის სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით, რაც მოცულობითი და კომპლექსური პროცესია და განასხვავებს ამ სპეციფიკის კურსებს პროგრამის სხვა 4 და 5 კრედიტიანი კურსებისგან.

აღნიშნული 150 საათი გულისხმობს საკონტაქტო 74 საათს: ლექციას ეთმობა 26 სთ. • პრაქტიკული/სემინარი- 39 სთ; პრეზენტაცია - 3 საათი; შუალედური გამოცდა - 2 საათი ; ფინალური გამოცდა (წერილობითი -2სთ; ზეპირი-2 სთ. მოცემული კურსის შინაარსისა და შედეგების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ინგლისური ენის კომპეტენციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოიშვავებას, პრაქტიკული მესაღწეობისთვის თითქმის 2-ჯერ მეტი საათია დათმობილი ლექციასთან შედარებით, რაც, ექსპერტთა აზრით, ადეკვატურია. ადეკვატურია ასევე, მაგალითისთვის, პრეზენტაციისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა 3 საათი- 180 წუთი, რაც სავსებით შესაძლებელს ხდის პროგრამაში ერთი ჯგუფისათვის გამიზნული დაახლოებით 15 სტუდენტის მიერ საშუალოდ 10 წუთიანი პრეზენტაციას წარდგენას. სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის დათმობილია 76 სთ., რაც დაახლოებით დღეში 4 საათს უდრის და სავსებით რეალისტურია უცხო ენის ათვისების პროცესში.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე თანდართული სილაბუსების ანალიზმა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მოპოვებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. მაგალითისთვის, სასწავლო კურსის „თარგმანის ხერხები და სტრატეგიები” სწავლის შედეგის „[...] ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული)” მიღწევა ფასდება შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შემდეგი სახის დავალების საშუალებით: „შუალედურ გამოცდაზე ,ა) სათარგმნი (მცირე სიდიდის) ტექსტი ინგლისურიდან - ქართულ ენაზე - მაქსიმუმი 10 ქულა ბ) სათარგმნი (მცირე სიდიდის) ტექსტი ქართულიდან ინგლისურად - მაქსიმუმი 10 ქულა”; დასკვნით გამოცდაზე: „ა) სათარგმნი (მცირე სიდიდის) ტექსტი ინგლისურიდან - ქართულ ენაზე - მაქსიმუმი 15 ქულა ბ) სათარგმნი (მცირე სიდიდის) ტექსტი ქართულიდან ინგლისურად - მაქსიმუმი 15 ქულა.” ( სილაბუსი, გვ. 5 და 8).

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

~ ვთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების აღდევანობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების წესი შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება და

წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნულ გამოცდები. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ჩაბარება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, გვ.4; თვითშეფასების დოკუმენტი გვ.15). პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ არის განსაზღვრული. მსგავსი მიდგომის შემუშავებისას პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთია უსდ-ა, რომელიც ადგილობრივ დონეზე უმაღლესი განათლების მინორდებას ემსახურება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა და ისტორია.

ასევე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით შეიძლება ისარგებლოს ისეთმა პირმაც, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, გვ.4). თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ჯგუფებში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა- 15 განსაზღვრულია პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას გეგმავენ არსებული ადამიანური რესურსისა და წინა წლების გამოცდილებით/მიღებულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021-2022 აკადემიური წლისათვის გამოცხადებული მიღების დოკუმენტი, სადაც მოიპოვება ინფორმაცია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე თუ რა საგნები უნდა ჩააბაროს აბიტურიენტმა. დოკუმენტში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის გარდა ნებისმიერი უცხოური ენის (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული) ჩაბარება. ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა, რომელშიც არ ჩანს თუ რომელი უცხოური ენა უნდა ჩააბაროს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა. დაინტერესებული პირისთვის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაბნეველია იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდზე განთავსებული პროგრამაზე მიღების დოკუმენტი არის ძველი და მოქმედ პროგრამაში არ არის საჭირო ინფორმაცია განთავსებული. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის რეაკრედიტაციამდე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს პროგრამაში მიღებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება 2022-2023 აკადემიურ წელს და შემდგომშიც, რეკომენდებულია პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა იზრუნოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსოს პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- დანართი 1- ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებელი თვითშეფასების ანგარიშისთვის;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი-2021-2022 წლისათვის გამოცხადებული მიღების დოკუმენტი - [ლინკი](#)
- უნივერსიტეტის ვებგვერდი-ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი საბაკალავრო პროგრამა- [ლინკი](#)
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განახლებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებაზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და მასში შემავალი სილაბუსების დეტალური შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი ჩაშენებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები, სადაც სწავლების მეთოდები ძირითადად ეყრდნობა სემინარებსა და პრეზენტაციებს, შემოქმედებითი და კრიტიკული

აზროვნების, ზეპირი და წერიტი, ანალიტიკური და გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებას. გარკვეულ სასწავლო კურსებში იკვეთება პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაც.

მაგალითისთვის, „თარგმნის ხერხებისა და სტრატეგიების“ სასწავლო კურსის მიზანია ‘ერთი ენის სპეციფიური ენობრივი ერთეულების მეორე ენის სისტემაში ტრანსპოზიციის (ქართულ-ინგლისური/ინგლისური-ქართული) საშუალებების შესწავლა და მათი პრაქტიკაში რეალიზება’ (სილაბუსი გვ.2); ამავე კურსის ერთ-ერთი სწავლის შედეგი გულისხმობს, რომ სტუდენტი ‘ახორციელებს მთარგნელობით საქმიანობას’ (სილაბუსი გვ.3), რომლის მიღწევადობა იზომება შეფასების კომპონენტებში პრაქტიკული თარგმანის შესრულებისა და შეფასებით. ინგლისურენოვანი მედიის ენის კურსის მიზანია ‘მედია წყაროებში გავრცელებული ავთენტური მასალის გაცნობა, გაანალიზება და მსგავსი საგაზეთო სტატიის მომზადება და /ან იმიტირებული ინტერვიუების გამართვა შესწავლილი ლექსიკური მედია ფონდის დახმარებით’ (სილაბუსი გვ.2). ამავე სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ პროექტს, რომლის თემატიკის შერჩევა ხდება მეშვიდე კვირაში (სილაბუსში მოცემულია შესარჩევი თემატიკა). კურსის განმახორციელებელი ეხმარება სტუდენტებს სტატიის სათაურის დაგეგმვასა და ფორმულირებაში, სტატიის ტექსტის ორგანიზება, განყოფილება და რედაქტირებაში. პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ სტუდენტები ანონიმურად ეცნობიან ერთმანეთის სტატიებს და შემდეგ ციფრული აპლიკაციის საშუალებით ირჩევენ სამ საუკეთესო პროექტს. თუ სტუდენტების სურვილი იქნება შესაძლოა გამარჯვებული პროექტები განთავსდეს დეპარტამენტის ფეისბუქ გვერდზე.

ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლო კურსების მიზნებში, სწავლის შედეგებში და შეფასების მეთოდებში იკვეთება მჭიდრო კავშირი პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განსავითარებლად. თუმცა ძირითადი სწავლის სფეროს ბევრ სავალდებულო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ მიზნებში ან სწავლის შედეგებში იკვეთება პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განვითარება, არ იკვეთება მკვეთრი შესაბამისობა და ბმა შეფასების მეთოდებთან. მაგალითად, ამერიკანისტიკა -ამერიკული რომანის სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს ‘აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის კრიტიკული გააზრებით ჩამოეყალიბოს შემეცნებითი, პრაქტიკული საქმიანობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ბაზისური უნარ-ჩვევები’ (სილაბუსი გვ.2). თუმცა, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში და კომპონენტების შეფასების კრიტერიუმებში არ იკვეთება ზემოთ აღნიშნული მიზნის შემონახვისა და გაზომვის გზები. სასწავლო კურსის ფარგლებში მოწოდება თეორიული საკითხის ცოდნა, მაქსიმალური შეფასება არის შემდეგნაირი: ‘პასუხი სრულყოფილი და ამომწურავია; საკითხი ზუსტად არის გადმოცემული; სტუდენტს ამჟღავნებს ამერიკული რომანის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების შესახებ ფართო ცოდნას; შესაბამისად, აღწერს ამ ლიტერატურული მიმართულების, განვითარებისა და ჩამოყალიბების პირობებსა და კრიტიკულად მიმოიხილავს მის მხატვრულ თავისებურებებს. მაღალია მეტყველების კულტურა’; ზეპირი აქტივობა, სადაც იგივე შეფასების რუბრიკაა გამოყენებული რაც წერიტი დავალების შემთხვევაში, მხოლოდ ერთი განსხვავებით- ‘კითხვებზე პასუხი ამომწურავია’ (იხილეთ შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია 2.4 სტანდარტში); პრეზენტაცია-მაქსიმალური შეფასება ‘წარმოდგენილი საპრეზენტაციო თემა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სრულყოფილად არის შესრულებული; საკითხი სრულად და ზუსტად არის გადმოცემული; სტუდენტი ამჟღავნებს ამერიკული რომანის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების შესახებ ფართო ცოდნას; შესაბამისად, აღწერს ამ ლიტერატურული მიმართულების, განვითარებისა და ჩამოყალიბების პირობებსა და კრიტიკულად მიმოიხილავს მის მხატვრულ თავისებურებებს. მაღალია მეტყველების კულტურა;



ვიზუალურად პრეზენტაცია გაფორმებულია მაღალ დონეზე, სტუდენტი სრულყოფილად და ამომწურავად პასუხობს კითხვებზე. ზუსტად იგივე შეფასების რუბრიკები დევს ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის კურსში, სადაც ერთერთი სწავლის შედეგი გადის შემდეგ უნარზე: 'მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ სტუდენტურ დისკუსიებსა თუ კონფერენციებში ზეპირი მოხსენებების გაკეთების გზით და მსჯელობს თანმიმდევრულად' (სილაბუსი გვ.2). თუმცა, გაუგებარია როგორ მოხდება ამ სწავლის შედეგის გაზომვა და შეფასება. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან შეხვედრისას გამოავლინა მათი სურვილი უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში. ექსპერტთა ჯგუფი სილაბუსების დეტალურად გაცნობისა და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგების გაანალიზების შემდეგ ეთანხმება სტუდენტებს და თვლის, რომ მნიშვნელოვანია პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი შესაბამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. მითუფრო მაშინ, როცა პროგრამა სავალდებულო პრაქტიკა/სტაჟირების გავლის შესაძლებლობას არ სთავაზობს სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ასევე განიხილება სტუდენტებისთვის სავალდებულო პრაქტიკა/სტაჟირების შესაძლებლობის ჩართვა პროგრამაში, რაც ექსპერტთა აზრით, კარგად დაგეგმვის, ორგანიზებისა და სათანადო მემორანდუმებით გამყარების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

პროგრამაში კვლევითი კომპონენტის უზრუნველსაყოფად ინტეგრირებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელსაც პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში ეთმობა 10 კრედიტი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განერილია საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურები. საბაკალავრო ნაშრომით განვითარებული კვლევითი კომპონენტი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (დეტალები იხილეთ სტანდარტი 2.4).

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერა აქტიურად ჩართონ სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციებში და სხვადასხვა სახის აქტივობებში (*ვიკვლიოთ და ვისწავლოთ ერთად, სკოლა და უნივერსიტეტი, სტუდენტური დარბაზი და სხვა*).

დანესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გასაუბრებოდა დამსაქმებლებს, რომლებმაც პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარედ საკომუნიკაციო ინგლისური ენის დახვეწა დაასახელეს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ერთერთ დამსაქმებელს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციიდან, რომელიც, როგორც გაირკვა, აქტიურად გეგმავს პროგრამის კურსდამთავრებულებს და ამ პროცესში თვითონ იჩენს ინიციატივას და მიმართავს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხით. თუმცა, როგორც ინტერვიუდან და მონოღებული დოკუმენტაციიდან გაირკვა უნივერსიტეტს არ აქვს მემორანდუმი გაფორმებული ამ დამსაქმებელთან. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველია პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა ამ კონკრეტულ დამსაქმებელთან გააფორმოს მემორანდუმი სამომავლო თანამშრომლობის გასამყარებლად.

დამსაქმებლებთან აქტიური მუშაობა გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს, სადაც მათ აღნიშნეს, რომ სწორედ ასეთი თანამშრომლობით დაამატეს მათ



პროგრამაში დარგობრივი ინგლისური ენის კურსები (ტურიზმი, ბიზნესი) და გაზარდეს საკონტაქტო საათები (პროგრამას დაემატა ინგლისური ენა 5).

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოითხოვა და გაანალიზა მემორანდუმები. დაწესებულებამ წარმოადგინა ხუთი მემორანდუმი: 1. სათარჯიმნო ბიურო 'ერუდიტი', 2. თელავის ისტორიული მუზეუმი, 3. სასტუმრო კომპლექსი 'Zuzumbo Resort & Spa', 4. 'შუხმან ვაინ ჯორჯია' და 5. თელავის ახალგაზრდობის ქრისტიანული ორგანიზაცია (YMCA Telavi). მემორანდუმები გაფორმებულია ინგლისური და ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში. კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის მიხედვით ისინი ძირითადად საქმდებიან გიდეზად და თარჯიმნებად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი შესაბამისი მიზნების, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით. ასევე განიხილება სტუდენტებისთვის კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული და მემორანდუმებით გამყარებული სავალდებულო პრაქტიკა/სტაჟირების ჩართვა პროგრამაში, რაც, ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულების ყველა აქტიურ და პოტენციურ დამსაქმებელთან მემორანდუმების გაფორმება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეათვასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლე	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ვითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება				
---	--	--	--	--

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად ინტეგრირებულია საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება საკითხის ირგვლივ ფართო ცოდნის ფორმირების გზებზე. პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. სწავლება-სწავლის მეთოდები გულისხმობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ზეპირი და წერიტი, ანალიტიკური, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებას.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობა და კონსულტაციები. ასევე, პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), ტექსტების ან სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი, ელექტრონული სწავლება (E-learning). გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებულ აქტივობების ჩამონათვალში მოცემულია რიგი სწავლება-სწავლის მეთოდები (და არა აქტივობები), როგორცაა ინდუქციური და დედუქციური მიდგომა, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ელექტრონული სწავლება და ა.შ., ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად სწორად დაჯგუფდეს სწავლება-სწავლის მეთოდები და სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები.

პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები აღწერილობითი სახით არის მოცემული, რომლის ჩამონათვალში შემთხვევის ანალიზის მეთოდის აღწერა გამყარებულია შემდეგი მაგალითები : 'საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში-კონკრეტული, ვთქვათ

ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ' (პროგრამა, გვ.9). გამომდინარე იქიდან, რომ ამ კომპრეტულ შემთხვევაში, მოცემული მაგალითების თემატიკა და არსი შესაძლოა, გაუგებარი აღმოჩნდეს პროგრამის სტუდენტებისთვის არასაკმარისი წინარე-ცოდნის გამო, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის შესაბამისი კონკრეტული მაგალითები გამოიყენოს შემთხვევის ანალიზის მეთოდის აღწერისას.

დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ aes ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა და მიდგომებს ეხმიანება და მოიცავს ისეთ მეთოდებსა და აქტივობებს, როგორცაა, მაგ. როლური და სიტუაციური თამაშები, ელექტრონული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და სხვ. რაც დასტურდება აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგადაც. პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ტრადიციული და თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას. მათი თქმით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების არსებობა, რომელიც მათ სწორედ თანამედროვე მეთოდების გაცნობაში ეხმარება (Erasmus + გაცვლითი პროგრამები, გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, და სხვა). ისინი იყენებენ პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას, მაგალითად, გერმანული ენის შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება წავიდნენ მუზეუმში და აირჩიონ ნახატი, რომელზეც მოამზადებენ პრეზენტაციას. ასევე, კურსების განმახორციელებლებმა ისაუბრეს თანამედროვე ციფრული აპლიკაციების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში (მაგალითად, mentimeter.com). თუმცა ვიზიტის დროს აუდიტორიების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ უზრუნველყოფს ენის შესწავლის იმ თანამედროვე მეთოდების განხორციელებას რაც აღწერილია პროგრამაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სალექციო აუდიტორიების ისე მოწყობა, რომ ლექტორებმა შეუფერხებლად შეძლონ სალექციო პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირებას (დეტალები და შესაბამისი რეკომენდაცია იხილეთ ქვესტანდარტში 4.4.).

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დისტანციური სწავლების ადმინისტრირების დროებით ინსტრუქციას, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2020 წლის 7 აპრილს. დოკუმენტის მიხედვით დისტანციური სწავლებისთვის გამოყენებული შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმები (Google Meet, Moodle, Google Classroom, Zoom). რეკომენდებულ მეთოდებად მითითებულია სინქრონული ან/და ასინქრონული სწავლების კომუნიკაციის ფორმები, რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შერჩევა, კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობის განსაზღვრა. კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში უფრო მეტი ციფრული აპლიკაცია ინტეგრირდა სასწავლო პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში არ დამდგარა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის აუცილებლობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობების შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად სწორად დაჯგუფება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის შესაბამისი კონკრეტული მაგალითები გამოიყენოს შემთხვევის ანალიზის მეთოდის აღწერისას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეათვასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში სტუდენტთა შეფასება ხდება ‘უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ’ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხორციელდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი არის 100 ქულა. სტუდენტთა შეფასება, შუალედური და დასკვნითი გამოცდების კომპონენტები თავისი რუბრიკებით მოცემულია ყველა სასწავლო კურსში. თუმცა, გარკვეულ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები, კომპონენტები და რუბრიკები ვერ უზრუნველყოფენ ცალკეულ სასწავლო კურსებში მიზნის ან სწავლის შედეგის მიღწევადობას. მაგალითად, ამერიკანისტიკა -ამერიკული რომანის სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს 'აღნიშნული პერიოდის ლიტერატურის კრიტიკული გააზრებით ჩამოუყალიბოს შემეცნებითი, პრაქტიკული საქმიანობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ბაზისური უნარ-ჩვევები' (სილაბუსი გვ.2). თუმცა, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში და კომპონენტების შეფასების კრიტერიუმებში არ იკვეთება ზემოთ აღნიშნული მიზნის შემოწმებისა და გაზომვის გზები. სასწავლო კურსის ფარგლებში მონმდება თეორიული საკითხის ცოდა -მაქსიმალური შეფასება 'პასუხი სრულყოფილი და ამომწურავია; საკითხი ზუსტად არის გადმოცემული; სტუდენტი ამჟღავნებს ამერიკული რომანის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების შესახებ ფართო ცოდნას; შესაბამისად, აღწერს ამ ლიტერატურული მიმართულების, განვითარებისა და ჩამოყალიბების პირობებსა და კრიტიკულად მიმოიხილავს მის მხატვრულ თავისებურებებს. მაღალია მეტყველების კულტურა'; შეფასების ეს კრიტერიუმი ამომწმებს სტუდენტის წერით უნარ-ჩვევას, სადაც მეტყველების კულტურის შემოწმება ვერ მოხდება. იგივე კურსის ფარგლებში ფასდება ზეპირი აქტივობა, სადაც იგივე შეფასების რუბრიკაა გამოყენებული რაც წერითი დავალების შემთხვევაში, მხოლოდ ერთი განსხვავებით- 'კითვებზე პასუხი ამომწურავია'. პრეზენტაციის შეფასები რუბრიკა კი არის შემდეგნაირი- მაქსიმალური შეფასება 'წარმოდგენილი საპრეზენტაციო თემა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სრულყოფილად არის შესრულებული; საკითხი სრულად და ზუსტად არის გადმოცემული; სტუდენტი ამჟღავნებს ამერიკული რომანის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების შესახებ ფართო ცოდნას; შესაბამისად, აღწერს ამ ლიტერატურული მიმართულების, განვითარებისა და ჩამოყალიბების პირობებსა და კრიტიკულად მიმოიხილავს მის მხატვრულ თავისებურებებს. მაღალია მეტყველების კულტურა; ვიზუალურად პრეზენტაცია გაფორმებულია მაღალ დონეზე, სტუდენტი სრულყოფილად და ამომწურავად პასუხობს კითვებზე'. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კურსის ფარგლებში განერილი შეფასების რუბრიკები არ მოიცავს პრაქტიკული საქმიანობისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ბაზისური უნარ-ჩვევების შემოწმებას.

პროგრამაში სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომელსაც სტუდენტები მერვე სემესტრში წერენ. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის შესრულება. საბაკალავრო ნაშრომით მონმდება პროგრამის ცხრავე შედეგი და გადის გამტკიცების დონეზე. საბაკალავრო ნაშრომი მონმდება ტურნიტინის პლაგიატის პროგრამაზე და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი განულება. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით სტუდენტს 'თემის შერჩევა შეუძლია სურვილის გათვალისწინებით **ქართული ფილოლოგიის** სფეროს ფარგლებში ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით' (გვ.22). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სავარაუდოდ, ეს ხარვეზი ტექნიკური ხასიათისაა, თუმცა, რა თქმა უნდა, სასურველია, ჩასწორდეს და „ქართული ფილოლოგიის სფეროს“ ჩანაწერის „ინგლისური ფილოლოგიის დარგით“ ჩანაცვლდეს .

საბაკალავრო ნაშრომს შუალედური შეფასების ფარგლებში აფასებს ხელმძღვანელი 60 ქულით, და 40 ქულა გადანაწილებულია დასკვნითი კომისიური წესით შეფასებისთვის. ხელმძღვანელი საბაკალავრო ნაშრომს აფასებს შემდეგი კომპონენტებით- თემის აქტუალურობა, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა, ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა და დასმული საკითხების გადაწყვეტის ადეკვატურობა. თუმცა, ხელმძღვანელი არ აფასებს ნაშრომის გაფორმებას საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. ამ კომპონენტის შემოწმება ხდება კომისიის მიერ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელმა შეაფასოს სტუდენტის მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომის ფორმალური მხარეც ფორმატირებასთან ( Formatting) მიმართებით.

ამას გარდა, საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ქულობრივად არის ჩაშლილი, მაგრამ შეფასების კრიტერიუმები შინაარსობრივად არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითისთვის მოვიყვანო შეფასების რამოდენიმე კრიტერიუმს და ქულობრივ გადანაწილებას. საბაკალავრო ნაშრომის თემის აქტუალურობის ნაწილში ჩანს, რომ ნაშრომი 14 ქულით ფასდება თუ თემის აქტუალობა თვალსაჩინოა, კარგად და გააზრებულადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, რომელიც თემას აქტუალურს ხდის; 13 ქულა-თემის აქტუალობა თვალსაჩინოა, კარგადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, რომელიც თემას აქტუალურს ხდის; 10 ქულა- თემა ზოგადად აქტუალურია, კარგადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, სადაც ჩანს თემის აქტუალობა; 9 ქულა- თემა ზოგადად აქტუალურია, დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, სადაც ჩანს თემის აქტუალობა; 8 ქულა- თემა ზოგადად აქტუალურია, მცირეადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, სადაც ჩანს თემის აქტუალობა; 7 ქულა -თემა ზოგადად აქტუალურია, ბუნდოვნადაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, სადაც ჩანს თემის აქტუალობა; 6 ქულა- თემა ზოგადად აქტუალურია, არაა წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, სადაც ჩანს თემის აქტუალობა; 5 ქულა- თემის აქტუალობა თვალსაჩინოდ არაა გამოკვეთილი, კარგად არ არის წარმოდგენილი ის პრიორიტეტები, რომელიც თემას აქტუალურს ხდის; ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა: 15 ქულა- ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა ზედმიწევნითაა დაცული და სრულად შეესაბამება დებულების მოთხოვნებს; 14 ქულა- ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია და სრულად შეესაბამება დებულების მოთხოვნებს; 12 ქულა - ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აღინიშნება უმნიშვნელო ხარვეზები და შეესაბამება დებულების მოთხოვნებს; 11 ქულა - ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა აღინიშნება ხარვეზები და შეესაბამება დებულების მოთხოვნებს 10 ქულა - ნაშრომის ლოგიკური თანმიმდევრობა ხარვეზებითაა წარმოდგენილი, თუმცა შეესაბამება დებულების მოთხოვნებს” (საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, გვ. 4-7). მსგავსი მიდგომით, რომელიც ვრცელდება სხვა კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების განერის დროსაც, ექსპერტთა აზრით, ორანზროვანი, უფრო სწორად ე.წ. „ორლულა”, - (double-barelled) მნიშვნელობის შემცველი შინაარსი ერთსა და იმავე კრიტერიუმში ექცევა, რაც ობიექტურად შეფასების პროცესს ართულებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია შეფასების რუბრიკებში გარკვევით აისახოს შინაარსობრივი განსხვავებები ქულობრივი გადანაწილებებისას.

ასევე, შეფასების კუთხით ცალკეულ სასაწავლო კურსებში გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები:

ა), „ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის” სასაწავლო კურსში შეფასების რუბრიკაში მისანიჭებელი ქულების ფარგლებში იკვეთება ურთიერთსაინააღმდეგო შინაარსი. მაგალითად, წერითი დავალების შეფასებისას სტუდენტი მიიღებს 2 ქულას თუ პასუხი

არასრულია, თუმცა—დამაკმაყოფილებელი; სტუდენტს სათანადოდ არ აქვს ათვისებული ლიტერატურა; არ იკვეთება ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის გარშემო შესაბამისი საკითხების ცოდნა (სილაბუსში, გვ. 6). ამ აღწერილობის მიხედვით გაუგებარია თუ პასუხი არასრულია, არ ჩანს შესაბამისი საკითხების ცოდნა, როგორ არის დამაკმაყოფილებელი.

ბ) დარგობრივი ინგლისური (ბიზნესის ენა) კურსი ორიენტირებულია ოთხივე ენობრივი უნარის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარებაზე, თუმცა შეფასების ფორმებში და კრიტერიუმებში მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ ხდება წერის, კითხვის, მოსმენისა და საუბრის შეფასება. შუალედური გამოცდა ტესტური სახისაა, მაგრამ არ ჩანს თუ რა ენობრივ უნარებს ამოწმებს. წერიტი და ვალებების შეფასების კრიტერიუმები იდენტურია სხვა თეორიული საგნებისა (მაგ. პასუხი სწორია და სრული, მსჯელობა გამართული და თანამიმდევრული, სტუდენტი ფლობს და მიზნობრივად იყენებს ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას; ახდენს ბიზნეს საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და ახდენს საკუთარი მოსაზრების ფორმულირებას ზეპირი ფორმით ინგლისურ ენაზე; მეტყველების კულტურა მაღალია). პრეზენტაციის შეფასებაც ემთხვევა სხვა თეორიულ საგნებში მოცემულ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას (მაგ. საპრეზენტაციო თემა წარმოდგენილია მიზანთან შესაბამისად, მსჯელობა ლოგიკურია ბიზნესის სფეროს და საქმიანი სტილის შესაბამისი ტერმინოლოგია სწორადაა გამოყენებული, ვიზუალურად პრეზენტაცია გაფორმებულია მაღალ დონეზე, კითხვებზე პასუხები ამომწურავია). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **მსგავსი შეფასების რუბრიკები არ ასახავს** ენობრივი უნარების ათვისებას, რომელიც ცალსახად დაკავშირებულია ლექსიკასთან, გრამატიკულ სტრუქტურებთან (accuracy), საუბარი-გამოთქმა (fluency), წაკითხული ინფორმაციის გაგება, და ა.შ. იდენტური შეფასების მთოდები და ფორმებია გამოყენებული დარგობრივი ინგლისური (დიპლომატიის ენა) სასწავლო კურსში. ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია ამ კონკრეტულ კურსებში სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის კუთხით შეფასების მეთოდებისა და ფორმების შესაბამისობაში მოყვანა.

აკდემიურ და მონვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმებით არსებობა. ლექტორების თქმით ინდივიდუალურად ხვდებიან სტუდენტებს იმ შემთხვევაში თუ ეს ინიციატივა მათგან მოდის. სტუდენტებისთვის ცნობილია პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები და მათი შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები. როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს მათ ამ მექანიზმით არასდროს უსარგებლიათ, რადგან ამისი საჭიროება არ ქონიათ. სტუდენტებისთვის შეფასება ხელმისაწვდომია ელექტრონული პორტალის მიხედვით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის მექანიზმი (იხილეთ რეკომენდაცია 1.3 ქვესტანდარტში)

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი;

- ეთიკის კოდექსი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით შეფასების რუბრიკებში გაიმიჯნოს განსხვავებები ქულობრივი გადანაწილებებისას;
- რეკომენდებულია ახალი და უახლესი პერიოდის ბრიტანული ლიტერატურის ისტორიის' სასწავლო კურსში დაიხვეწოს შეფასების რუბრიკების შინაარსობრივი ნაწილი.
- რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური (ბიზნესის ენა) და დარგობრივი ინგლისური (დიპლომატიის ენა) სასწავლო კურსებში სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობის კუთხით შეფასების მეთოდებისა და ფორმების ისეთ შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი უნარების შემოწმებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში საბაკალავრო ნაშრომის არჩევასთან დაკავშირებით დათქმირებული ტექნიკური სახის ხარვეზის შემცველი ფრაზა „ქართული ფილოლოგიის სფერო“ ჩასწორდეს და შესაბამისად ჩანაცვლდეს „ინგლისური ფილოლოგიის დარგით“

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების აღქვადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>



	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის განვსა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დანესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას. დანესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები, უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტისა და ღონისძიების შესახებ. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. თუმცა, როგორც შევნიშნეთ, საერთაშორისო მობილობაში ჩართული სტუდენტების რიცხვი დაბალია, მნიშვნელოვანია ამ კომპონენტის გააქტიურება და გაცვლით პრობრამებში მეტი სტუდენტის ჩართვა. ერთია, გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა, მეორე - მასში ჩართული სტუდენტების რიცხვი, რომელიც არც ისე წარმომადგენლობითია. მნიშვნელოვანია საერთაშორისო მობილობაში სტუდენტების აქტიურად ჩართვა და მათი რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა, რადგან, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო გამოცდილების მიღება სტუდენტებისთვის, სასარგებლოსთან ერთად, საჭირო და აუცილებელია (იხ. შესაბამისი რეკომენდაცია 1.1 კომპონენტში).

კურსდამთავრებულთა ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია როგორც ხელმძღვანელის, ისე თემის არჩევა. თემების შედგენაში სტუდენტებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას და ხშირად მათი ინტერესებიდან გამომდინარე მუშავდება საკვალიფიკაციო ნაშრომის საბოლოო სათაური. ბაკალავრიატის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და ხარისხი,

რათა სტუდენტებს ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიონ. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელმძღვანელს კონსულტაციებისთვის მიმართოს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისთვის უნივერსიტეტი სტუდენტებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებას სთავაზობს. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ჟურნალი. ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომს მხოლოდ ხელმძღვანელი (60 ქულა) და კომისია (40 ქულა) აფასებს. აღნიშნულ საფეხურზე საკვალიფიკაციო ნაშრომებს რეცენზენტები არ ჰყავს. უნივერსიტეტს აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელზეც ატარებენ ბაკალავრიატის ნაშრომებს, თუმცა პლაგიატის დადგენილი პროცენტული ზღვარი არ აქვთ.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი ისურვებდნენ მეტ პრაქტიკულ კომპონენტს სწავლებისას, აგრეთვე, უცხოურ სპიკერებთან აქტიურ ინტერაქციას, რისი აუცილებლობაც ექსპერტთა ჯგუფმაც დააფიქსირა დოკუმენტაციის ანალიზის დროს ( იხ. შესაბამისი რეკომენდაციები 2.2. კომპონენტთან მიმართებაში) ამასთან, როგორც სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხშირად მოიწვევს სპიკერებს საჯარო ლექციების ჩასატარებლად, რაც, ექსპერტთა აზრითაც სასარგებლო ინიციატივაა და სტუდენტებს კომუნიკაციური უნარების გაძლიერებაში დაეხმარება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია;
- ვებ გვერდი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ადგილობრივი და უცხოელი სპიკერებს ხშირად მოწვევა საჯარო ლექციების ჩასატარებლად, რაც სტუდენტებს კომუნიკაციური უნარების გაძლიერებაში დაეხმარება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

<b>მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები</b>	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან.
- ჩატარებული კონსულტაციები;
- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- საჯარო ინფორმაცია ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ.

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მონვეულ პერსონალთან

- დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
  - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დანესებულების მიერ მოწოდებულ შესაბამის დოკუმენტაციას და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვა, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიური და მონვეული ლექტორების დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილ დროს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი პერსონალის შესახებ არსებული დოკუმენტაცია (პერსონალის CV-ები, დიპლომები, სერტიფიკატები) ადასტურებს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებთან. როგორც აკადემიური, ისე მონვეული პერსონალი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სწავლების თანამედროვე მეთოდების განსავითარებელ კურსებში. აფილირებულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის არის ბალანსი და მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.

2020 წელს ჩატარებული პერსონალის კმაყოფილების კითხვარიდან ჩანს რომ უმაღლესი სასწავლო დანესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დენადობის მაჩვენებლის შესწავლასა და ანალიზს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი საბუთებიდან ნათლად არ ჩანს, როგორ იყენებს ადმინისტრაცია მიღებულ შედეგებს და რა ქმედითი ნაბიჯები მოჰყვება მიღებულ შედეგებს პროგრამის მდგრადობის გასაუბუჯობესებლად. ასევე არ არის ნათელი ტარდება თუ არა ამ ტიპის კვლევა რეგულარულად.

პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პორტფოლიოთი დასტურდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა კი ცხადყო რომ იგი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებასა და პროგრამის თვარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

სტუდენტების პანელის დროს კი გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კონტაქტშია სტუდენტებთან და მზად არის მათი პრობლემებისა და მოთხოვნების გადასაჭრელად.

შენიშვნა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს დანესებულების მიმართ ამ ნაწილში გააჩნია, ეხება პერსონალის სტატუსის ტერმინოლოგიურ ფორმულირებას; კერძოდ, დოქტორის აკადემიური ხარისხის აღსანიშნად დოკუმენტში „ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ“ გამოყენებულია

ტერმინი „ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი“, რაც, ცხადია, გულისხმობს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუმცა, სასურველია განიმარტოს. გარდა ამ კონკრეტული შემთხვევისა, უნივერსიტეტის მიერ მონოდებული დოკუმენტაციისა და მონვეულ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულება მონვეული პერსონალის სტატუსის განსაზღვრისას იყენებს ისეთ ტერმინოლოგიას, როგორც არის “მონვეული დოქტორი”, “მონვეული მაგისტრი”, “შტატის პედაგოგი”. აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანია, გაუგებარობას იწვევს და ართულებს პერსონალის კომპეტენციის შეფასების პროცესს, მითუფრო მაშინ, როცა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ამგვარი სტატუსების მინიჭებისა და გამოყენების რაიმე სახის მარეგულირებელი დოკუმენტი არ იძებნება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამგვარი სტატუსების გამოყენება პერსონალთან მიმართებით საჭიროებს განმარტებას, რაც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დოკუმენტში გაინერება.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი <sup>6</sup>	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>7</sup>	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	6	5	11
- პროფესორი	2	2	0	2
- ასოცირებული პროფესორი	6	2	2	6
- ასისტენტ-პროფესორი	3	2	3	3
- ასისტენტი	0	0	0	0
მონვეული პერსონალი	9	7	5	0
სამეცნიერო პერსონალი	1	0	0	0

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- პერსონალის პორტფოლიოები
- პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები
- სემესტრული დატვირთვის დოკუმენტი (ცხრილი)

<sup>6</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>7</sup> ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- თესაუ-ს ვებ-გვერდი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)
- ინტერვიუ დანესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დანესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამაში პერსონალის განმსაზღვრელი სტატუსები „მონვეული დოქტორი“, „მონვეული მაგისტრი“, „შტატის პედაგოგი“ განიმარტოს და დარეგულირდეს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების ამსახველი დოკუმენტით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**  
**არ შეფასებულა**

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მონვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელ ის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარება



- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის განვითარების მიზნით უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ახორციელებს არაერთ ღონისძიებას, მათ შორის ტრენინგებს, სასწავლო კურსებს, კონფერენციებს და ა.შ. სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით დაწესებულება ფინანსურად უზრუნველყოფს წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით შერჩეული პერსონალის დასწრებას შესაბამის ტრენინგებზე, მათ შორის საზღვარგარეთაც. შესაბამისი საფეხურების წარმატებით გავლის შემთხვევაში დაწესებულების ბიუჯეტი უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობას და მათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას.

თუმცა უნივერსიტეტის მიერ მონოდეული ინტერნაციონალიზაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, ბოლო 6 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული 20 პერსონალიდან ჯამში სულ 7 ( 2- პროფესორი , რომელთაგანაც ერთ-ერთი ორჯერ ფიქსირდება; 2-ასოცირებული პროფესორი; მათგანაც ერთ-ერთი ორჯერ ფიქსირდება; 2 ასისტენტ პროფესორი; 1- მონვეული პროფესორი , რომელიც სამჯერ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამის სიებში) პროფესორ-მასწავლებელი იმყოფებოდა სხვადასხვა ვადით ევროპისა და აზიის უნივერსიტეტებში ( მაგ., თურქეთი-ანკარის უნივერსიტეტი, იტალია- ტუმას უნივერსიტეტი; რუმინეთი- ბრაშოვის უნივერსიტეტი და სხვ), რისი რაოდენობრივი მაჩვენებელიც, განსაკუთრებით მონვეული პერსონალის, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, გაიზარდოს და გავრცელდეს უფრო მეტ ადამიანზე, მით უფრო მაშინ, როცა საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და გაზიარების სურვილი და მზაობა პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუზეც დაფიქსირდა.

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნის ფონდით და ყველა რესურსით, რაც შესაძლებელია საჭირო იყოს პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის, მათ შორის უნივერსიტეტის ტერიტორიიდან შესაძლებელია წვდომა ძირითად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე (EIFL მონაცემთა ბაზები, EBSCO მონაცემთა ბაზები, ELSEVIER მონაცემთა ბაზები და სხვა).

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება აწარმოებს სასწავლო კურსების შეფასებას და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას სამი ძირითადი მეთოდით: კითხვარი, რომელსაც სტუდენტები ავსებენ სემესტრის ან წლის ბოლოს, ურთიერთდასწრება და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი, რომელიც უნდა შეავსონ სტუდენტებმა არ მოიცავს, ან მხოლოდ ირიბად ეხება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას. შეკითხვების რაოდენობა კი საკმაოდ მცირეა და არ არის ორიენტირებული მაქსიმალურად ამომწურავი

ინფორმაციის მოპოვებასა და პოტენციური ხარვეზების აღმოჩენაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარი დაიხვეწოს და მასში აისახოს არამხოლოდ განვლილი საგნის შეფასება, არამედ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ინფორმაციული იქნება პროფესორისა და მის მიერ საგნის სწავლების პროცესის შესაფასებლად რაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას დაეხმარება პერსონალის განვითარების, დანინაურებისა და ნახალისების პროცესის ობიექტურად წარმართვაში

ერთიერთდსწრების მეთოდი მეტ-ნაკლებად სრულად მოიცავს შეკითხვებს შესაფასებელი ლექტორის სასწავლო და საშემსრულებლო უნარების შეფასების შესახებ. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ მიღებული შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს პერსონალის დანინაურებას, თუმცა თითქმის არ მოიცავს ნახალისების მექანიზმებს.

ამას გარდა, დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და ინტევიუების მიხედვით დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს და აფასებს აკადემიური პერსონალის და ხელშეკრულებით მონვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული სასწავლო და სამეცნიერო წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს. კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და კვლევითი შედეგების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტმა შეიმუშავა შეფასების შიდა მექანიზმი - შექმნა „სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის კვლევას ერთი სრული კალენდარული წლის აქტივობების მიხედვით; სისტემა მოიცავს ხუთ კატეგორიას: 1. პუბლიკაციები, 2. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა, 3. სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, 4. სტუდენტებთან განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, 5. სხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები (რეცენზირება, რედაქტორობა, სამეცნიერო შრომების კრებულ(ებ)ის საორგანიზაციო სარედაქციო/ საგამომცემლო კომიტეტის / კოლეგიის / საბჭოს წევრობა, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმ(ებ)ის საორგანიზაციო კომიტეტის / კოლეგიის / საბჭოს წევრობა, ექსპერტობა სამეცნიერო აქტივობაში, მიღებული პატენტები/გამოგონება). ამავე ფორმაში ეთითება ციტირების ინდექსი (არსებობის შემთხვევაში). პროდუქტიულობის დასადასტურებლად სავალდებულოა ხუთი კატეგორიიდან მინიმუმ სამ სხვადასხვა კატეგორიაში აქტივობ(ებ)ის არსებობა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შეფასების დოკუმენტის ნაცვლად თავდაპირველად ფაქტობრივად წარმოდგენილი იყო პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და შესაბამისი ანგარიშები. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტაცია, რადგან გაუჭირდა მისი მოძიება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აქედან გამომდინარე, სასურველია, პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge);
- ვებ-გვერდი - <https://tesau.edu.ge/biblioteka>
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტა
- პერსონალის პორტფოლიოები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, 19.12.2022) <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/xarixsis--uzrunvelkofis-shida-shefasebis--meqanizmebi>;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (პროგრამის პროფესიული ორიენტაციის შესახებ);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ადამიანური რესურსების შეფასების ანგარიში (პერსონალის კმაყოფილების კვლევა);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ დანესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დანესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პერსონალის შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარი დაიხვეწოს და მასში აისახოს არამხოლოდ განვლილი საგნის შეფასება, არამედ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ინფორმაციული იქნება პროფესორისა და მის მიერ საგნის სწავლების პროცესის შესაფასებლად რაც უმაღლეს სასწავლო დანესებულებას დაეხმარება პერსონალის განვითარების, დანინაურებისა და წახალისების პროცესის ობიექტურად წარმართვაში
- რეკომენდებულია გაცვლით პროგრამებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების პროცესში უფრო მეტი პერსონალის, მათ შორის მონვეული პროფესორ-მასწავლებლის ჩართვა მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პერსონალის შეფასების სისტემა, მათ შორის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პერსონალის პროფესიული განვითარება				
-----------------------------------	--	--	--	--

#### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია მდიდარი წიგნადი ფონდი, მათ შორის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალის საკმარისი რაოდენობის ეგზემპლარები. აღნიშნული მასალა მათ შორის ხელმისაწვდომია ელექტრონულადაც, საჭიროების შემთხვევაში კი ბიბლიოთეკის პერსონალი ინდივიდუალურად ეხმარება პროგრამის ყველა სტუდენტს (ასლის გადაღება, სწავლისთვის ან კვლევისთვის საჭირო წიგნის კონკრეტული გვერდების გაციფრულება და გაგზავნა და ა.შ).

სტუდენტებისთვის ასევე აქვთ წვდომა ძირითად თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე და სხვა ციფრულ რესურსებზე, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

თუმცა აუდიტორიებისა და სხვა მატერიალური რესურსების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ უზრუნველყოფს ენის შესწავლის იმ თანამედროვე მეთოდების განხორციელებას, რაც აღწერილია პროგრამაში და მოიცავს ელექტრონულ სწავლებას, პრეზენტაციებს, ჯგუფურ მუშაობას და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აუდიტორიების ისე იყოს მოწყობილი, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა შეუფერხებლად შეძლოს სალექციო პროცესში ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რაც ხშირ შემთხვევაში გულისხმობს განათლების ტექნოლოგიების ინტეგრირებას. მაგალითად როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოვლინდა, რომ ლექციის მიმდინარეობის დროს აქტიურად იყენებენ პრეზენტაციებს, როგორც სწავლის, ისე სწავლების დროს, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს გაირკვა, რომ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებას წვდომა აქვს მხოლოდ სამ პროექტორზე, რაც საკმარისი არ უნდა იყოს სხვადასხვა საგნის ლექციების პარალელურად მიმდინარეობის შემთხვევაში. გარდა ამისა აუდიტორიების უმეტესობა არ არის ისე მოწყობილი, რომ მარტივად იყოს შესაძლებელი პროექტორის გამოყენება რაც, პრეზენტაციის აქტივობის ჯეროვნად განხორციელებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს; ყოველივე ამან, კი, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა სილაბუსში განერილი ტექნოლოგიების გამოყენებით შესასრულებელი აქტივობის რეალიზება შეაფერხოს, აქედან გამომდინარე, ექსპერტების აზრით, აუცილებელია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდების ჯეროვნად და სისტემატიურად გამოყენებისთვის შესაბამისი სასწავლო-სამუშაო

გარემოს შექმნა, რაც ერთი-ორად გაზრდის პროფესურისა და თავად სტუდენტების მოტივაციას და უზრუნველყოფს შეუფერხებელ სასწავლო პროცესს.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვებ-გვერდი - <https://tesau.edu.ge/biblioteka>
- ინტერვიუ დანესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დანესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დანესებულებამ იზრუნოს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებასა და გაუმჯობესებაზე, რაც საჭიროა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ცენტრალიზებულად უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან. უნივერსიტეტი ბიუჯეტი სტაბილურია, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას. ადმინისტრაციის მიერ გამოთვლილია პროგრამის გავლის საფასურის მიხედვით მომსახურე აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასები, ასევე სახელმძღვანელოების, მივლინებების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის, და სხვადასხვა მომსახურების ხარჯები. ცალკე წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც პროგრამის ბიუჯეტში ფიქსირდება პროფიციტი, კერძოდ: სულ შემოსავალი პროგრამის მიხედვით არის 135 000 ლარი, სულ შემოსავალი რისკების გამოკლებით 108 000 ლარი, ხოლო სულ ხარჯი პროგრამის მიხედვით არის 101 500 ლარი (პროფიციტი რისკების გამოკლებით-6 500 ლარი). პროგრამის შემოსავლები და ხარჯები გათვლილია 4 ჯგუფზე, 4 წლიანი სწავლების პერიოდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ დებულება;
- ინტერვიუ დანესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დანესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის	■	□	□	□

ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა				
--	--	--	--	--

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

#### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისი, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა უზრუნველყოფს: უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას; უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში პერსონალისა და ხარისხის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მუდმივად მიმდინარეობდა პროგრამების დახვეწა და წინადადებების გათვალისწინება. თვითშეფასების პროცესი მიმდინარეობდა თანამიმდევრულად და კოორდინირებულად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად გაიწერა მოქმედების სავარაუდო გრაფიკი; დაიგეგმა თვითშეფასების ანგარიშისათვის სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა ფაქტობრივი მასალის შეგროვების ღონისძიებები, აკრედიტაციის თვითშეფასების დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მოძიება/მომზადება. თვითშეფასების პროცესის ერთ-ერთი ეტაპი მოიცავდა ბაზრის კვლევას (ვაკანსიების ძიება, მოთხოვნების გაცნობა-ანალიზი), რომელიც ძირითადად განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. პერიოდულად იმართებოდა თვითშეფასების ჯგუფების შეხვედრები, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში გათვალისწინებულ იქნა ასევე სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა თვალსაზრისები; მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად თვითშეფასების ჯგუფების მიერ ჩამოყალიბდა განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში ჩართული ყველა პირი თანამშრომლობდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც რეგულარულ შეხვედრებს მართავდა პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან. შეხვედრების მიზანი ძირითადად იყო დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების გაცნობა, არსებული პრაქტიკის გაზიარება და უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტაციის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დანეშვლებას შემუშავებული აქვს ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ადმინისტრირების რეგულაციები, რაც უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/debuleba10> ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, 19.12.2022) <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/xarixsis--uzrunvelkofis-shida-shefasebis--meqanizmebi>;
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/akademiuri-saganmanatleblo-programebis-dagegmvis-shemushavebis-ganxorcielebis--ganvitarebisa-da-gauqmebis-instruqcia>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარები;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;



- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (პროგრამის პროფესიული ორიენტაციის შესახებ);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ადამიანური რესურსების შეფასების ანგარიში (პერსონალის კმაყოფილების კვლევა);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დოკუმენტი;
- თესაუ-ს ვებ-გვერდი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge);
- დისტანციური სწავლების ადმინისტრირების დროებითი ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში.

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

#### გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 4 ნოემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№232, 04.11.2011). წინა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებისა და, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების საფუძველზე

აკრედიტაციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში პერიოდულად იხვეწებოდა საგანმანათლებლო პროგრამა მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. „ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ შესაბამისად განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ზუსტი თავსებადობის მიზნით, „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამას ეწოდა „ინგლისური ფილოლოგია“ (0231.1.2. ინგლისური ფილოლოგია English Philology), ხოლო კვალიფიკაცია განისაზღვრა შემდეგნაირად - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of English Philology). ცვლილებები/განახლება ეხებოდა: სასწავლო კომპონენტს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, ლიტერატურის შევსება-განახლებას, დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას და სხვა. პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესი ასახულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმებში. პროგრამების სწორი მიმართულებით განვითარების მიზნით, განხორციელდა კოლეგიური გარე შეფასებები, როგორც საქართველოს სხვა უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ისე უცხოელი კოლეგების/პროფესორების მიერ.

დანესებულება სამომავლოდ გასაუმჯობესებელ მხარეებად მიიჩნევს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან უფრო მეტი კავშირის დამყარებას პროგრამის განვითარებასთან/მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, ასევე, გარე შეფასების მექანიზმების კიდევ უფრო გააქტიურებას, დახვეწა-განვითარებას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №232, 04.11.2011;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №9, 04.11.2011;
- გარე კოლეგიალური შეფასებები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

### **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### **შეფასება**

გთხოვთ, შეათვალიეროთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	■	□	□	□

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, აწარმოებს პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად. მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები მათი კმაყოფილების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის დონის დასადგენად. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს, თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში.

დანესებულება ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, აწარმოებს სტუდენტების მიერ მიღებული შეფასებების მონიტორინგს, ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის არსებული მექანიზმიდან გამომდინარე, ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად მონმდება და მათში შედის ცვლილებები. ხდება პროგრამების პერმანენტული ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განსახორციელებლად სამომავლოდაც დაგეგმილია პროგრამის განხორციელების პერიოდული მონიტორინგი, როგორც აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, ისე გარე შემფასებლების მიერ.

დანესებულების მხრიდან პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ თვითშეფასების საწყის ეტაპზე ჩატარდა ე.წ. „სამაგილო კვლევა“, რაც ითვალისწინებდა

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური პროგრამების შინაარსისა და მისი განხორციელების მოდელების გაანალიზებას და შედარებას უნივერსიტეტში მოქმედ ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

მაგალითად, უნივერსიტეტის მიერ მონოდებული ანალოგებთან დადარების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავებისას ადგილობრივი უნივერსიტეტების იდენტური პროგრამების პარალელურად გაანალიზდა და გაზიარდა რამდენიმე ევროპის უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამების გამოცდილება ( მაგ., ხაენის უნივერსიტეტი, იტალია, ოპოლის უნივერსიტეტი, პოლონეთი, ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი და სხვ), თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოცემული დოკუმენტი უფრო სქემატურ და ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე კვლევით და სასურველია, მასში უფრო დეტალურად და დანვრილებით აღინეროს თითოეულ ანალოგთან პროგრამის დადარების ანალიზის შედეგები, რაც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გაუადვილებს საერთაშორისო გამოცდილების მიზნობრივად გაზიარებას.

პერიოდული მონიტორინგისა და პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩატარდა აუცილებელი კვლევები (გამოკითხვები არსებული გამოკითხვის ფორმებით), რომელშიც მონაწილეობდნენ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციის ფარგლებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სასწავლო კურსის შეფასება არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სავალდებულო წესით, არამედ თავად ლექტორები სურვილის მიხედვით თავად ატარებენ სტუდენტების გამოკითხვას უკუკავშირის მიღების მიზნით. ამასთანავე, მიღებულ შედეგებს ლექტორები სურვილის მიხედვით, უზიარებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ექსპერტთა აზრით, აუცილებელია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში სასწავლო კურსების შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეათვასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ასევე, სასურველია, სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით ან სტუდენტთა გამოკითხვის არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს სასწავლო კურსის შეფასების ადმინისტრირება სავალდებულო წესით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდებოდა პანდემიამდე, დანესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა იმ პერიოდში შევსებული კითხვარების ნიმუშები. საჭიროა ამ პრაქტიკის განახლება თანამდგომარევე შეფასების განახლებული მექანიზმების გამოყენებით.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/debuleba10> ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, 19.12.2022) <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/xarixsis--uzrunvelkofis-shida-shefasebis--meqanizmebi>;

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია <https://tesau.edu.ge/martvis-organoebi/akademiuri-saganmanatleblo-programebis-dagegmvis-shemushavebis-ganxorcielebis-ganvitarebisa-da-gauqmebis-instruqcia>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარები;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (პროგრამის პროფესიული ორიენტაციის შესახებ);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ადამიანური რესურსების შეფასების ანგარიში (პერსონალის კმაყოფილების კვლევა);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დოკუმენტი;
- თესაუ-ს ვებ-გვერდი [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge);
- დისტანციური სწავლების ადმინისტრირების დროებითი ინსტრუქცია;
- განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო;
- ინტერვიუს შედეგები;
- დანესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტებმა კითხვარების მეშვეობით ან სხვა გზით შეაფასონ სასწავლო კურსი, ხოლო შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათზე რეაგირება სავალდებულო წესით უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის უცხოურ ანალოგებთან დადარების ანალიზს მიეცეს მეტად კვლევითი ხასიათი, ვიდრე ფორმალურ-სქემატური და მასში დეტალურად და დანვრილებით აღინეროს თითოეულ ანალოგთან პროგრამის დადარების ანალიზის შედეგები, რაც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, გაუადვილებს საერთაშორისო გამოცდილების მიზნობრივად გაზიარებას.
- სასურველია, სტუდენტები აფასებდნენ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის განხორციელებას სპეციალური კითხვარით ან სტუდენტთა გამოკითხვის არსებულ კითხვარში სპეციფიკური კითხვების ინტეგრირებით.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:  
ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

### პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**ხელმოწერები:**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა**



ნინო ჯოჯუა


**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, ხელმოწერა**



ეკატერინე ფიფია  
სახელი, გვარი, ხელმოწერა



ანა ყიასაშვილი  
სახელი, გვარი, ხელმოწერა



ია ნაცვლიშვილი  
სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოსო გაბდელიანი

